სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 38

2014 წლის 29 აპრილი

ქ. თბილისი

2014 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საგნობრივი საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ

,,განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება" პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 06 მარტის №233 ბრძანებით დამტკიცებული ,,დანართი 1.5"-ის, ,,2014 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წრთვნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 1 აპრილის №28 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №-1-ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2014 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის მიზნით ჩატარებულ, შესარჩევ ტურებზე მიღებული შეფასებისა და პროცედურული დარღვევების გასაჩივრებისა და განხილვის მიზნით სააპელაციო განაცხადის ფორმა დანართის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს ფიზიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარატმენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გელა ჯავახიშვილი - კვლევებისა და უმაღლესი განათლების საკითხებში ფონდის კონსულტანტი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) მადონა გვიდიანი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ე) ალექსანდრე ღონღაძე - ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;
ვ) ვლადიმერ პავერმანი - ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;
3. დამტკიცდეს მათემატიკის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარატმენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) გელა ჯავახიშვილი - კვლევებისა და უმაღლესი განათლების საკითხებში ფონდის კონსულტანტი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) მადონა გვიდიანი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ე) ვაჟა ლომიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;
ვ) თენგიზ კოპალიანი - ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;
ზ) შალვა ზვიადაძე - ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;
4. დამტკიცდეს ბიოლოგიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარატმენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) ლევან ჭაჭია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - თავმჯდომარის მოადგილე;
გ) მადონა გვიდიანი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ვ) დიანა ძიძიგური - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;
ზ) ნანული დორეული - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;
5. დამტკიცდეს ქიმიის საგნობრივი საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარატმენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ლევან ჭაჭია - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მადონა გვიდიანი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

დ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) გია ხატისაშვილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;

ვ) ბადრი არზიანი - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, კომისიის წევრი;

6. 2014 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის ჩატარებულ შესარჩევ ტურებზე ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატის მიერ მიღებული შეფასება ან შესარჩევი ტურის პროცედურული დარღვევის კანდიდატის მიერ შესაბამის საგნობრივ საპრეტენზიო კომისიაში გასაჩივრება, აღნიშნული კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ,,2014 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების დაკომპლექტების, წრთვნისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 1 აპრილის №28 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-10 მუხლის შესაბამისად.

7. კომისიის სხდომებს უძღვება და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

8. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. კომისიის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

9. კომისიის სხდომა ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი.

10. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

11. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

თინათინ ბოჭორიშვილი

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის
29 აპრილ --38-- ბრძანებით

_____ საგნობრივ საპრეტენზიო კომისიას
(საგანი)

_____ 2014 წლის საერთაშორისო ოლიმპიადის
(საგანი)

_____ შესარჩევი ტურის მონაწილის
(შესარჩევი ტურის ნომერი)

საკონტაქტო მისამართი და ტელეფონი: _____

_____

სააპელაციო განაცხადი

ქ. თბილისი „----------''----------''2014 წ.

_____
(შესარჩევი ტურის ნომერი, რომლის შედეგი ან პროცედურა საჩივრდება)

1. **გთხოვთ განიხილოთ:**
   ა)შესარჩევი ტურის პროცედურის დარღვევა;
   ბ) შემდეგი ამოცანის _____ შეფასების სისწორე;
   (ამოცანის ნომერი)

შენიშვნა: შემოხაზეთ ის კატეგორია(„ა" „ბ" ან ორივე ერთად), რომელსაც შეესაბამება სააპელაციო განაცხადის შინაარსი.

2. **გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ გრაფებში შინაარსობრივად და დეტალურად მიუთითოთ დარღვევის შინაარსი:**

განმცხადებლის ხელმოწერა: